ამონარიდები საქართველოს პათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის 2023 წლის სააღდგომო ეპისტოლედან

ქრისტე აღდგა!

დგება ჟამი ახალი პასექისა!

დღეს ზეიმობს ცა და მიწა, ხილული და უხილავი სამყარო; რა თქმა უნდა, ვზეიმობთ ჩვენც, რადგან ამ სასწაულით დასრულდა ამქვეყნად მაცხოვრის ღმერთკაცობრივი, გონებისთვის მიუწვდომელი ღვაწლი, ჩვენი ხსნისათვის გაღებული.

* * *

უფალი მოვიდა, რომ წინაძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოვასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზეიმე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად ვაქციოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახეს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს.

ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრკეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთს არ განვეშოროთ და მუდამ გვახსოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მომართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი“

* * *

ქრისტიანული ცხოვრება, პირველ რიგში, გულისხმობს, მართებული წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი–თავისუფალი ნება, ანუ ჩვენი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ სიტუაციაში.

* * *

ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე“–ს პოვნას.

თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე“-მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა.

მოციქული გვეუბნება: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (1 კორ. 6:12).

იგივე მოციქული სხვაგან ბრძანებს: „ხოლო თქვენ, თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს. ვინაიდან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (გალ. 5:13-14)

ამ სიტყვებით კარგად ჩანს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი პიროვნება თავისუფალია ეგოიზმისგან და მისი ცხოვრება სიყვარულზე, ზნეობასა და სათნოებაზეა დამყარებული. ასეთ ადამიანთა სიმრავლე ქვეყნის სიძლიერეა.

ჩვენს საზოგადოებაში კი ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, სამწუხაროდ, მრავალი მხრიდან აქვს ადგილი კატეგორიულ აზროვნებას და მძლავრობს აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს.

ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამდენად საშიშია ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან.

სიტყვა ენერგიაა, დადებითი ან უარყოფითი, და თანაც ძალიან ძლიერი, რომელიც თავის გავლენას, პირველ რიგში, მათზე ახდენს, ვისგანაც იგი წარმოითქმის, შემდეგ კი აისახება სხვებზე და საერთოდ გარემოზე;

* * *

დღეს ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და, ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისთვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის, ჩვენს ძმებთან–აფხაზებთან და ოსებთან, მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლის შექმნისთვის.

შევთხოვ უფალს, მოწყალე თვალით მოხედოს საქართველოს და დიდ ჭირთა და განსაცდელთაგან გვიხსნას.

ვკადნიერდები და ასევე ვთხოვ ტკბილ იესოს, როგორც აკურთხა მან მშვიდობით აღდგომის შემდეგ მოციქულები, უკრაინა და მთელი მსოფლიო ღირს-ყოს მიმართვისა: „მშვიდობა თქვენდა!“

„ჩვენს დედაენას მოსაფერებს, ერთად მოვეფეროთ, ქართველებო!“

ქართველებს ორი სამება გაგვაჩნია ზეციური და მიწიერი. ზეციური სამება მოიცავს იესო ქრისტეს სამ გაგებას: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. ქართველის მიწიერ სამებას კი, როგორც ილია ბრძანებს, წარმოადგენს „ენა, მამული, სარწმუნოება“.

საუკუნეთა წიაღიდან ისმის შეგონება–„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას.“

ქართული ენა უძველესი, უმდიდრესი და დიდი სამწერლო ტრადიციის მქონე საერთო ეროვნული ენაა, რომელიც მუდამ ასახიერებდა ქართველ ტომთა კულტურული ერთობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას.

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართულ ენაში აღბეჭდილია ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების გზა, ერის ისტორია, ერის ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება. ენა ყოველთვის წარმოადგენდა ერის სიძლიერისა და ერთიანობის დუღაბს.

ქართველმა მშობლიური ენის სიყვარული ყველაზე საყვარელ არსებასთან–დედასთან გააიგივა და დედაენა დაარქვა. ამ შემართებით იწერებოდა სტრიქონები: „ქართული ქართველთ რწმენაა, ზღვა როა, იმოდენაა“.

ფარნავაზმა საქართველოს გამაერთიანებელმა, ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. მემატიანემ ასე შეაფასა ფარნავაზის ღვაწლი „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და აღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

მეათე საუკუნის ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე საგანგებოდ აღნიშნავს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ ანუ საქართელო დახასიათებულია ენის ნიშნით, ყველგან ქართლია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს.

ამიტომაც განიცდიდა ქართული ენა დევნას და შევიწროებას. მას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც მომრავლებული იყვნენ ჩვენს ქვეყანაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა სსრკ ხელისუფლების გადაწყვეტილება ქართულის, როგორც სახელწიფო ენის გაუქმების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას საპროტესტო აქციების მთელი სერია მოჰყვა. რუსთაველზე ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ისინი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას ითხოვდნენ. მოსკოვმა დაინახა, რომ შეკრებილებს იოლად ვერ დაშლიდა და დათმობაზე წავიდა. ამ დღეს ქართველებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, საკონსტიტუციო ცვლილებები სხვა რესპუბლიკებშიც არ მოსწონდათ, მაგრამ მხოლოდ ქართველებმა გაბედეს ქუჩაში გამოსვლა. პროტესტმა შედეგი გამოიღო: კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა.

მადლობა იმ ქართველ პატრიოტებს, ვინც წინ აღუდგა მცდელობას, წაერთმიათ ჩვენთვის უფლება დედაენის სიყვარულისა. საფრთხის მიუხედავად არ შედრკნენ, მხარი მხარს მისცეს, შეერთდნენ და ერთსულოვნებამ მტერს უკან დაახევინა. ამის შემდეგ 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა.

თითოეული ჩვენთაგანის ვალია, ისევე გავუფრთხილდეთ ქართულ ენას, როგორც წინაპრები ელოლიავებოდნენ და იცავდნენ.

„სამიათას წელზე მეტ ხანს გვიცხოვრია,
როგორც ერსა,
ბევრსა, შავ დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ
ბევრსაც ბედნიერსა,
გვიმღერია, კიდეც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ
„მრავალჟამიერსა!“

ჩვენს დედაენას, მოსაფერებს ერთად მოვეფეროთ, ქართველებო!

ნინო ცხადაია

9 მაისი—გამარჯვების 78-ე გაზაფხული

„დიდება გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას“

4-5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე**.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დადგენილების პროექტის „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, საკრებულოს წევრს შესაძლებელია აუნაზღაურდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაღებული სხვადასხვა ხარჯი, რაზედაც ინფორმაცია წარედგინება საკრებულოს აპარატის უფროსს, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად.

განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2022 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და ექსპლუატაციისთვის უვარგისი ქონების ჩამოწერის თაობაზე.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერს ასევე მიეცა თანხმობა ქალაქ ხობში სკვერის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო და ნიშნულების მიწის ნაკვეთის, აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ.

განკარგულების პროექტის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნდება ახალი იურიდიული პირი, რომელიც ხელს შეუწყობს, მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

აღნიშნული იურიდიული პირი განთავსდება ახალ აშენებულ ხობის მრავალფუნქციურ სპორტულ კომპლექსში.

საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც ქალაქ ხობის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, შემოვიდა წინადადებით, მდინარე ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, რკინიგზის ხიდიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალამდე ალტერნატიული (შემოვლითი) გზის მოწყობისა და ქალაქის ქუჩებზე არსებულ ობიექტებზე, ქუჩის სანიშნი აბრების განთავსების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ქალაქ ხობში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებზე შეხვედრა გამართა.

შეხვედრას საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი ზურაბ ხამაშურიძე და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ანა ცანავა უძღვებოდნენ.

საინფორმაციო შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია, მერიის, საკრებულოს და თვითმმართველობის იურიდიული პირების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზოგადოების ინფორმირებულობისა და მედეგობის გაზრდა“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

ხობის კულტურის სასახლის მცირე დარბაზში ჩატარდა ლექცია-საუბარი თემაზე: „ანტირელიგიური კამპანია სამეგრელოში და ხობის მონასტერი XX საუკუნის 20-30-იან წლებში“.

მომხსენებელმა, ისტორიკოსმა გოგიტა ჩიტაიამ ისაუბრა ბოლშევიკების მიერ ეკლესია-მონასტრების, მათ შორის - 1923 წლის აპრილში ხობის მონასტრის დახურვაზე, სასულიერო პირების დევნაზე, ანტირელიგიურ კამპანიაზე და სასულიერო პირთა გამორჩეულ ღვაწლზე.

ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მოხსენებები ხობის მონასტერში დაცული სიწმინდეების და XIX-XX ს.ს. პრესაში ხობის მონასტერზე გამოქვეყნებული მასალების შესახებ.

ლექცია-სემინარს სასულიერო პირები, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია, საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბუკიამ და მერის პირველმა მოადგილემ რევაზ ზაქარაიამ, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

გზაზე დაიგება ბეტონის საფარი, ამოიწმინდება სანიაღვრე არხები და მოეწყობა ეზოებთან მისასვლელები.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 282 400 ლარია.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს ხობის მუნიციპალიტეტის მერია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს.

ინტერვიუ

ანტონ ვარდია-ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

მიზანი: პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი

ხობის საზოგადოება ძალიან კარგად გიცნობთ, როგორც განათლებულ, პატიოსან, კარგ მეგობარს, მებრძოლი სულის ადამიანს, მაგრამ გთხოვთ, გვიპასუხოთ გაზეთის მთავარ კითხვაზე–ვინ არის ანტონ ვარდია?

–გმადლობთ ასეთი შეფასებისთვის. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ საინტერსო ცხოვრებით ვიცხოვრე.

საჯარო სამსახურში მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება დამიგროვდა, აქედან 23 წელი სამართალდამცავ სტრუქტურებში. ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური ქარტეხილის უშუალო მონაწილე ვარ. ვიყავი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პოლიციის უფროსი ხობის რაიონში.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატად ვიყრიდი კენჭს. არჩევნებამდე ორი დღით ადრე, მოვხსენი კანდიდატურა, რადგან გამოიკვეთა ეროვნული ძალების გამარჯვების კონტურები და ჩემი მხარდაჭერა მათდამი გამოვხატე.

ახლახან მეგობრებმა მომაწოდეს და ფეისბუქ გვერდზე გავაზიარე თქვენს გაზეთში 1990 წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ჩემი საარჩევნო პროგრამა, საიდანაც ჩანს თუ რა რთული და მძიმე გზა იყო გასავლელი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი ბრძოლაში. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება და თითოეულმა ქართველმა უნდა იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, რადგან გვაქვს, მწარე გამოცდილება. გვახსოვს 1991 წლის ბოლოს, ქართველებს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ და ურთიერთსიძულვილმა რა მძიმე შედეგები მოგვიტანა და რამდენად დაგვხია უკან.

ბატონო ანტონ! რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს უპირველესად?..

–ადამიანი უნდა იყოს ღვთის მოყვარული. რაც უფრო მეტია უფლისადმი მოწიწება და სიყვარული, მით მეტ სულიერ სიმშვიდეს განიცდი.

თქვენი გამორჩეული თვისებები, როგორ გამოიყენეთ ცხოვრებაში, კმაყოფილი ხართ?

–პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს კურირებთ–ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს.

რა არის თქვენი სამსახურის მთავარი დანიშნულება და ფუნქციები, ამჟამად რომელია პრიორიტეტული?

–მერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას. ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებასა და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, წინადადებების შემუშავებას მუნიციპალური ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის აუცილებელი წინადადებების შემუშავებას და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვას. წინადადებების შემუშავებას გარე ვაჭრობის და გარე რეკლამის რეგულირებისთვის.

თითოეული მიმართულება ჩემთვის ძალზე პრიორიტეტულია.

თქვენი ყოფილი სამსახურებიდან, რომელს მოიაზრებთ ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენს კარიერაში?

–ერთ რომელიმეს ვერ გამოვყოფდი. ყველა სამსახური მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. სადაც გამორჩეულ პიროვნებებთან მომიწია ურთიერთობებმა და ბევრი კეთილი მოსაგონარი დამიგროვდა.

რომელია თქვენთვის საყვარელი და განტვირთვის ადგილი?

–მოგზაურობა. ყოველ კვირას წირვაზე მსახურება. დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ ეზოში ფიზიკური მუშაობა და ახლობელი ადამიანების გარემოცვაში ტრადიციული ქართული სუფრა.

ვიცი, მიუხედავად დაღლისა, კითხვა ძალიან გიყვართ. ამ ბოლო დროს რა წაიკითხეთ?

–წიგნის კითხვა ბავშვობიდან მიყვარს. ამისთვის დრო ყოველთვის მრჩება.

დღეს, ჩვენ ძალიან განათლებული ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ ისინი ცოდნას ძირითადად ინტერნეტიდან და სმარტფონებიდან იღებენ. მათ ვურჩევდი ნუ მოიკლებენ საინტერსო წიგნის წაკითხვის შემდეგ განცდილ სიამოვნებას.

ბოლო დროს წავიკითხე ნიჭიერი ქართველი რეჟისორის თემურ ბაბლუანის საინტერესო წიგნი „მზე, მთვარე და ხორბლის ყანა“.

ბატონო ანტონ, განათლებული, გამორჩეული პედაგოგების ქეთევან შელეგიას და კარლო ვარდიას ოჯახიდან მოდიხართ, საუკეთესო დედ-მამა გყავდათ. იქნებ მოიგონოთ ის მნიშვნელოვანი რჩევა, რაც ოდესღაც მათგან მიგიღიათ?

–ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ. მამაჩემი 40 წელი ჯერ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის, ხოლო შემდგომ ახალი ხიბულის საშუალო სკოლის დირექტორი გახლდათ. მამაჩემს სამთავრობო რეგალიები არ ჰქონდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში „ხობის საპატიო მოქალაქედ“ აირჩიეს, ხოლო გარდაცვალების შემდეგ სოფლისა და პედკოლექტივის მოთხოვნით სკოლას მისი სახელი მიენიჭა.

წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში რეგულაციები შეიცვალა, პიროვნება 20 წლის გარდაცვლილი უნდა იყოს, რომ მისი სახელი მიენიჭოს დაწესებულებასო და ამიტომაც 2006 წლიდან შეჩერებულია აღნიშნული გადაწყვეტილება.

მამაჩემის ერთი რჩევა მახსენდება ყოველთვის. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოინათლა და ეზიარა. მაშინ მითხრა: „მე კომუნისტების ეპოქაში დავიბადე და ვიცხოვრე, მაგრამ ვხედავ, რომ მიუხედავად ათეისტური მსოფლმხედველობისა, უფლის არც ერთი მცნება არ დამირღვევია“. ამის შემდეგ მეც ვცდილობ ასე ვიცხოვრო.

შვილები თქვენი კუმირები არიან. გვიამბეთ მათზე?

–ჩემი და ჩემი მეუღლის, ირინა ჩაკაბერიას უმთავრესი ბედნიერება შვილების კარგად ყოფნაა. გიორგის ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს. მათ პირველი შვილიშვილი, ულამაზესი პატარა ენი გვაჩუქეს, რომელმაც საოცრად დიდი ხალისი და პოზიტივი შემოიტანა ბებია-ბაბუას ცხოვრებაში.

ქეთის კი შერჩეული ჰყავს ცხოვრების თანამგზავრი და მათი ბედნიერების მოლოდინში ვართ.

საზოგადოების ინტერესების დაცვა იყო და მომავალშიც იქნება თქვენი უპირველესი საზრუნავი?

–საზოგადოების ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო ჩემი უპირველესი საზრუნავი. ამისთვის აუცილებელია ხალხის ტკივილი და გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანო და მაქსიმალურად ეცადო შენზე და სამსახურზე დამოკიდებული პრობლემები მოუგვარო.

ბევრი მეგობარი გყავთ, გვიამბეთ მათზე?..

–მეგობრები ის ხალხია, ვინც ცხოვრებას გვილამაზებს, ჭირში და ლხინში ჩვენს გვერდით არიან. ბევრმა მეგობარმა ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი. რაც უფრო ასაკში შედიხარ, გიგროვდება მეგობრებთან გატარებული დღეების ლამაზი მოგონებები და მეგობრებთან თითოეული მონატრებული შეხვედრა ლამაზ სანახაობად იქცევა.

როგორ ხედავთ თქვენს თავს მომავალში?..

–გარკვეული წლების შემდეგ, პენსიაზე გასული, შვილიშვილების გარემოცვაში ტელევიზორთან როგორც სპორტული გადაცემების მაყურებელი...

საქმე, რომელსაც არასოდეს უღალატებთ?

–სამშობლოსათვის ერთგულებას.

კიდევ რაიმე გაქვთ სათქმელი?

–ეს მომავალი ინტერვიუსთვის შემოვინახოთ.

მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

ნანი კილასონია.

დიდება ჯვირებს...

ახლოვდება 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების დღე... რომელიც კაცობრიობას, თაობიდან თაობას დღემდე (მიუხედავად წელთა სიმრავლისა) დიდ ტკივილიან მოგონებად შემორჩა.

დრომ წაიღო წლები, გაიყოლა ომგადახდილთა მოგონებები, შეკრებები, შეხვედრები... მათი დაფასებისა და მოფერების ამსახველი სტრიქონები კი შემორჩა ჩვენი გაზეთის გაცრეცილ ფურცლებს. ფოტოებმა (მადლობა ბატონ ირაკლი შონიას) კიდევ ერთხელ გაგვიცოცხლა მათი სახეები.

საუბედუროდ, მუნიციპალიტეტს ამჟამად ომის არცერთი ვეტერანი არ ჰყავს (უფალმა აცხონოს მათი სულები).

ოთარ ჭილაძე ამბობდა: მიცვალებულსაც აქვს მომავალი, ვისაც საფლავზე მიმკითხავი ჰყავსო... საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ხობში მათი მონაგარი მრავლად და ამაყად დააბიჯებს...

შარშან სურვილი გაგვიჩნდა რედაქციის არქივიდან გამოგვეყენებინა ომაგადახდილ ქალბატონებზე ზინა შუშანიასა და შუშანა ლორჩოშვილზე თბილი მოგონებები. ამით კიდევ ერთხელ გვეთქვა სამადლობელი იმ ღვაწლისთვის, რაც მათ დასდეს ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას, საზოგადოებისთვის შეგვეხსენებინა, რომ ისინი მრავალ თანამებრძოლებთან ერთად თავიანთი ცხოვრებით ალამაზებდნენ ჩვენს ყოველდღიურობას, სამშობლოს სიყვარულის ცოცხალ მაგალითად გვევლინებოდნენ. ვფიქრობთ, მკითხველმაც ისიამოვნა ამ მოგონებათა „სკივრით“, ამიტომ წელსაც გადავწყვიტეთ დავბეჭდოთ სტატიები „რედაქციის არქივიდან“.

მერი ლაგვილავა

რედაქციის არქივიდან ----------

ომგადახდილის 66-ე გაზაფხული...

სამამულო ომის პირველმა ზაფხულმა სამგლოვიარო ზარით ამცნო ქვეყანას თავისი მობრძანება. ცა შავი ღრუბლებით აიბურა და ჭექა ქუხილით შეძრა სამყარო. ირგვლივ ყოველივე ზამთრის ყინვებით გაითოშა, თუმცა ყველგან ზაფხულის თბილი სუნთქვა იგრძნობოდა. შფოთიანი დრო დაუდგა ქვეყანას, ამიტომ ბუნებამაც თითქოს ხაკისფერი მუნდირი ჩაიცვა და საომრად მოემზადა... დღეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 66 წელი შესრულდა... ჩვენი ნომრის სტუმარია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად ხობში, სპორტულ კომპლექსში მცხოვრები, დამსახურებული პიროვნება ბატონი **პარმენ გეგეჭკორი.** ომგადახდილი დღეს ახალი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა დღემდე გულის ტკივილად შემორჩა თანამებრძოლების დაკარგვა, უფრო ძლიერ კი დაკარგული ტერიტორიები, დაფანტული ნათესაობა და აფხაზეთის უდიდესი მონატრება.

ბატონო პარმენ, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენზე, თქვენს ოჯახზე, შვილებზე...

–დავიბადე 1914 წელს გალის რაიონის სოფელ გუდავაში, მოსამსახურის ოჯახში. ვიზრდებოდი მყუდრო და ბედნიერ გარემოში სამ დასთან ერთად. იქვე მივიღე საშუალო განათლება. ვმუშაობდი რაიონში სხვადასხვა თანამდებობებზე–გუდავას სკოლაში გამგე–მასწავლებლად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ... 1947 წელს ცხოვრება ხობელ ტატიანა სანაიას დავუკავშირე. ვცხოვრობდით სიყვარულით, მშვიდად და ბედნიერად. ვზრდიდით სამ შვილს–ლორას, როლანდს და ავთოს, შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო და ამ ომმა ჩვენს ბედნიერ ოჯახს ტკივილი მოუტანა. იძულებულები გავხდით კარ-მიდამო დაგვეტოვებინა და ხობში, მეუღლის ნათესავებთან წამოვედით, ტკივილმა ტკივილი მისაგზლა... 47 წლის ასაკში ჩემი ვაჟი როლანდი გარდაიცვალა. ჩემმა მეუღლემ ვერ გაუძლო შვილის დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს და ორ თვეში ისიც დავკარგე. უბედურებას უბედურება დაემატა და 35 წლის ასაკში დაუოჯახებელი მეორე ვაჟი ავთოც გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა. მყავს რძალი ლეილა ჩანგელია,–თსუ ყოფილი ლექტორი, სამი შვილიშვილი–გიორგი გეგეჭკორი თბილისის–მცხეთა–თიანეთის საპატრულო პოლიციის უფროსი და მისი მეუღლე ნინო ხარჩილავა. ნანა გეგეჭკორი სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტია და ამჟამად აშშ–ში მოღვაწეობს. ხოლო დავით აკობია ხობის №2 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეა. ბადიში ნიკოლოზ გეგეჭკორი ჯერ მხოლოდ 2 წლისაა. ვცხოვრობ ჩემს ქალიშვილ ლორასთან და სიძე რადიონ აკობიასთან ერთად. სხვაგან სად უნდა წავიდე, როცა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები აქაურ მიწას მყავს მიბარებული, მათ საფლავებს ვერ ვტოვებ.

თუ შეიძლება გაიხსენეთ როდის გაგიწვიეს სამამულო ომში? იქნებ რომელიმე საბრძოლო ეპიზოდზეც მოგვითხროთ?

–1941 წელს გამიწვიეს დიდ სამამულო ომში. გმირულად ვიბრძოდი წინა ხაზზე ტუაპსესა და მაიკოპში მე–18 არმიაში. მაგრამ ომის ქარცეცხლში ორჯერ დავიჭერი და როგორც უნარმოკლებული სამხედრო, საექიმო კომისიის დასკვნით, მშობლიურ სოფელში დავბრუნდი.

ომის პერიოდში თუ გქონიათ კავშირი ოჯახთან, აგზავნიდით სამკუთხა ბარათებს?

–დიახ, ამის საშუალება მქონდა და ოჯახიდანაც ვღებულობდი საპასუხო ბარათებს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც მიადვილებდა ოჯახზე ფიქრს, მონატრებას...

ბატონო პარმენ, რას ნიშნავს თქვენთვის 9 მაისი?

–ყოველი 9 მაისი ჩემთვის ძნელად მოსაგონარი თარიღია. მე ამაყი ვარ იმით, რომ ამ ომში ჩემი ქვეყნის დასაცავად ვიბრძოდი. ვცდილობდი მთელი ჩემი ცხოვრება მეცხოვრა კეთილსინდისიერად, მგონი გამომივიდა კიდეც.

რასაკვირველია აფხაზეთზე ნოსტალგია გაწუხებთ, რას ელით ხვალ?

–აფხაზეთის დაკარგვა ჩემთვის ადვილი არ ყოფილა. ვიტყვი, ტრაგიკულიც კი აღმოჩნდა. ძნელია ოჯახის მიტოვება, დაფანტული ნათესაობა... აფხაზეთი ჩემი ტკივილია, მაგრამ მე მჯერა ჩემი პრეზიდენტის, ქართველი ხალხის, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ტერიტორიებს და ჩვენ დავბრუნდებით!..

ხელისუფლება რამდენად გეხმარებათ?

–ჩვენი მთავრობის, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების უდაოდ კმაყოფილი ვარ. მათგან დაფასებას და ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობ. წლევანდელ 9 მაისსაც დამაფასეს და შინ მესტუმრნენ, მომილოცეს ფაშიზმზე გამარჯვების 66 გაზაფხული. ფულადი ჯილდო, წიგნები, ქართული ღვინო, ტკბილეული და სხვა მრავალი საჩუქარი გადმომცეს. გამგებლის მეუღლემ ქალბატონმა ელისო მისაბიშვილმა კი ხატი მისახსოვრა, რამაც ძალიან გამახარა. ყველა მათგანს უდიდეს მადლობას ვუხდი და წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ.

რას უსურვებდით ომგადახდილებს?

–თითოეულს ბედნიერებას, ჯანის სიმრთელეს და მშვიდობას ვუსურვებ.

...სავსე მზე შუბისტარზე იდგა. თვალი მივაპყარი დასავლეთს. საუცხოო მნათობი მეწამული მზე ანათებდა. ამ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა. მას სურდა რომ ქვეყნისთვის მიელოცა ბრწყინვალე გამარჯვება და თავადაც ამიტომ ბრწყინავდა ასე განსაკუთრებულად 9 მაისის დღეს... მე კი ისღა დამრჩენია, ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ, ჯანის სიმრთელე და სიხარული არ მოგაკლოთ უფალმა, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ბატონო პარმენ!

ესაუბრა
ნანა კემულარია.
2011 წელი

ომს შეწირული სიცოცხლე_ შინმოუსვლელთა ხსოვნის აბობოქრება...

გაცრეცილან, გაყვითლებულან, გახუნებულან ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები, შინმოუსვლელთა ფოტოსურათები. მათი ხსოვნა მხოლოდ მოგონებებსა და ძალიან ახლო ადამიანების გულებში სულდგმულობს...

ომის დამთავრებიდან 69-ე გაზაფხული დადგა საქართველოში. სამწუხაროა, რომ აქა-იქ შემორჩნენ ომგადახდილები, რომლებიც წარსულის მოგონებებით ცხოვრობენ და ტკივილით იხსენებენ ომის საშინელ წლებს, მათ გვერდით დაღუპულ უწვერულვაშო ახალგაზრდებს, თავიანთ თანატოლებსა თუ მათზე უფროსებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ...

ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავლად არიან ასეთი ოჯახები, რომელთაც მამა, ძმა, ბაბუა თუ სხვა ახლობელი დააკლდათ დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში. ბევრმა მათგანმა რუსეთის, უკრაინისა თუ სხვა ქვეყნების ტრამალებსა თუ საძმო საფლავებში ჰპოვა განსასვენებელი, ბევრი უკვალოდ დაიკარგა და... შინმოუსვლელად დარჩა... თითქმის ყველა ხობელს ახსოვს ალბათ, ახალმა თაობამ კი მონათხრობებიდან თუ იცის, რომ ათეული წლების წინათ ერთი ხობელი შინმოუსვლელის (ყურუა) ნეშტი საძმო საფლავიდან ხობში გადმოასვენეს გულზე დაკიდებული მედალიონის წყალობით, რომელზედაც მისი გვარ-სახელი იყო ამოტვიფრული. ათეული წლის მერე მისი ნეშტი მშობლიურ მიწას მიაბარეს და ზალპებით პატივი მიაგეს. მეორე განსაცვიფრებელი კი ის იყო, რომ შინმოუსვლელი ჯარისკაცის, ხეთელი ამირან ლატარიას მხცოვანმა დედამ, ქალბატონმა ლიზა ლატარიამ თავისი სახლი ერთადერთი შვილის და ყველა ომიდან არდაბრუნებული ჯარისკაცის სახლად და მუზეუმად აქცია. ეს ყველას როდი ძალუძს. მუზეუმი ნამდვილ რელიქვიად იქცა. შინმოუსვლელთა ოჯახების ნავსაყუდელი გახდა. ამირანის გამოგზავნილ სამკუთხა ბარათებს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ომში დაღუპულ ჯარისკაცთა ბარათები მიემატა და... მუზეუმი ფოტოსურათებითა და წერილებით გაივსო. მის სანახავად ადამიანთა რიგი იდგა... ეს იშვიათობა გახლდათ. დრო ულმობლად გაილია. დიდიხანია დედა–ლიზა მიიცვალა. მისი სული თავისი ერთადერთი შვილის, უწვერულვაშო ამირანის სულს შეერწყა და იქ, სამუდამო სამყოფელში განაგრძობს ცხოვრებას... ნათელი დაადგეთ მათ წმინდა სულებს, ნათელი და არდავიწყება ასეთ გმირებს. ისინი მიუხედავად ჟამთასვლისა, მაინც „ღიმილის ბიჭებად“ გვევლინებიან ჩვენს ყოველდღიურობაში.

9 მაისი ყველა შინმოუსვლელის ხსოვნისა და არდავიწყების დღეა. მოგონებებისა და ტკივილების დღე... შინმოუსვლელთა ხსოვნის აბობოქრების დღე!

ნანი კილასონია
2014 წელი,

რედაქციის არქივიდან

გილოცავთ ყველას...

ყველას, ყველას... მეორე მსოფლიო ომის ღირსეულ ვეტერანებს, ჩემს ძვირფას ხობელებს, რომლებიც, ღვთის წყალობით, ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავს შეხვდებით სიხარულის ცრემლებით, ძველი ტკივილების გახსენებით... ყველას, ყველას გილოცავთ: ბატონ ალიოშა ცხადაიას, გრიგოლ ლეფსაიას, უშანგი შელიას, ვალიკო ჭითანავას, სერაპიონ ჯაკონიას, შოთა უფლისაშვილს, შალვა ჯავახიშვილს, ოთარ კობახიძეს, ჟორჟი ბუკიას. ზოგი თვითონ წაიკითხავს ამას, ზოგს წაუკითხავენ (ძალიან დიდი სურვილი მაქვს ამისა) და მინდა გითხრათ: გეფერებით ყველას, კიდევ დიდხანს იცოცხლეთ.

ზოია ცხადაია,
თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი.

ბედნიერი ვარ, რომ ამ საშინელი ომის 70-ე წლისთავზე დიდად პატივსაცემ ვეტერანთა შორის ბიძაჩემიც არის–ალექსანდრე ანდრის ძე ცხადაია, ჯანსაღი გონებით, უნაკლო მეხსიერებით, თუმცა ძველი შემართებით ვერ გაივლის, მუხლებმა უმტყუნა, გული კი ისევ ისე უცემს–ძველი სიხარულით, დღევანდელი დღის სევდანარევი ბედნიერებით. მინდა მის ომისდროინდელი წამების გზაზე და უჩვეულო ბედისწერის ხვედრზე მოვუთხრო მკითხველებს: ალექსანდრე ცხადაია 1941 წლის ივლისში გაიწვიეს ომში. მაშინათვე ჩაერთო ბრძოლებში. 1941 წლის ოქტომბერში ქ. ზაპოროჟიეს მიდამოებში ტყვედ ჩავარდა. დაბა ბერესტიკას (უკრაინა), შემდგომ ქ. კატოვიცეს (პოლონეთი) საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ამუშავებდნენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე მაღაროში; შემდგომ გადაიყვანეს ქ. ბერლინთან არსებულ ბანაკში, საიდანაც განთავისუფლდა მოკავშირეთა არმიის მიერ, 1945 წლის მაისში. ტყვეობის ძირითადი ნაწილი–თითქმის ოთხი წელი, მან კატოვიცეს საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა (ფაქტები მოტანილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს სუსის განყოფილების უფროსი ი. მირონოვი). მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ერთი ფაქტი: მაღალიეშელონების, ახლო წარსულის ჩინოვნიკების უსულგულობა და გულგრილობა ყოფილი ტყვეებისადმი.

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ გერმანიის სახელმწიფომ გააკეთა 15-ათასიანი (ამერიკული დოლარი) კომპენსაციის გაცემის განაცხადი ყოფილ სამხედრო ტყვეებზე. საქართველოში ეს ერთეულებმა მიიღეს. ჩვენ მივმართეთ თბილისში უმაღლეს სამხედრო ინსტანციას და გვიპასუხეს, რომ: ალექსანდრე ცხადაია თუ იმყოფებოდა ისეთ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც გაზის კამერა იყო, მხოლოდ მაშინ მისცემდნენ კომპენსაციას. ამას დაერთო ისიც, რომ 1991–1992 წ.წ. მოვლენების დროს ყოფილი სუკის ადმინისტრაციული შენობა დაიწვა და საქმეებიც განადგურდაო. ფაქტობრივად კი, შესაძლებელი ყოფილა, მიემართათ მოსკოვისთვის, მაგრამ, ალბათ, მოსკოვს ამისთვის არ ეცალა, არ აინტერესებდათ; გვიან გავიგეთ: ვინც მოახერხა აღება კომპენსაციის, თვითონ გერმანიას მიმართეს (ტელევიზიითაც გამოცხადდა ადრე მისამართი, მაგრამ ჩაწერა და შემდეგ მიგნება გაგვიჭირდა). საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ

გერმანიასთან დაკავშირება, ალექსანდრე ცხადაიას მოუვიდა პასუხი დიდი ბოდიშის მოხდით, რომ უკვე ერთი წლის დამთავრებული იყო კომპენსაციის გაცემა; ასე არ მიიტანეს გულთან მხცოვანი კაცის თხოვნა (ეს ის დრო იყო, ვეტერანების პენსიებიც გაყინული რომ იყო)... ასე რომ, ტყვეობის შემდეგაც ყოფილა გულისტკენა, თუმცა არასოდეს, ალბათ, არავის უნახავს იგი მომდურავი, გულნაწყენი. დიდსულოვანი კაცია და ამიტომაც დაინდო ბედმა. საგანგებოდ დავაწერინე ბიძაჩემს მოგონებები ამ რამდენიმე წლის წინ. თბილისშიც ჩამოდიოდა და ჟურნალ „ბუმბათში“ მისი ინტერვიუც გამოქვეყნდა. ძალზე საინტერესოა მისი მეომრული თავგადასავალი: 1941 წლის ოქტომბერში ტყვედ რომ ჩავარდა, მარცხენა ფეხში მძიმედ იყო დაჭრილი. ტყვეთა ბანაკში რუსმა ტყვე ექიმებმა ტყვიები ამოუღეს და სიკვდილს გადაურჩა (მანამ კი

ერთი საოცარი რამ გადახდა). გერმანელებთან ბრძოლის დროს დაჭრილი და დახოცილი ჯარისკაცები ერთად ეყარნენ თურმე. საკონტროლო სროლით ჩამოუარეს თურმე გერმანელებმა ჯარისკაცებს. ალექსანდრესთან რომ მოსულა გერმანელი, თვალი თვალში მოხვდა და არ ვიცი, რა თვალით შევხედე, არ მესროლა და ჩაიარაო... ეს არის მისი ერთი დაუვიწყარი მოგონება; მეორე: ქ. კატოვიცეში 100-150 მეტრი სიღრმის მაღაროში ნახშირის ამოღებისას ღვედის გადამცემ რგოლს ედგა თურმე დარაჯად, ნახშირი რომ არ გადმოცვენილიყო. ერთხელაც მარჯვენა ხელი მოაყოლა თურმე და ჩაითრია ღვედმა, რაც სიკვდილს ნიშნავდა. უნდა გამოერთოთ მთელი მაღარო, ამას კი ტყვისთვის არ გააკეთებდნენ. მოხდა სასწაული, მის ყვირილზე მოსულა ცვლის უფროსი, ვინმე საკორა, განგაში გამოაცხადა, ღვედის მოძრაობა გააჩერეს, საკორამ თავისი ხელით გადაჭრა 2 მეტრიანი ღვედი, ჩემი ხელი ამოიღეს, ოპერაცია გამიკეთესო– იგონებს იგი. ხელი კი თითქმის უმოძრაოდ აქვსდღემდე (ვფიქრობ, ამან გადაარჩინა ომიდან დაბრუნებული რეპრესიას, სიმულაციად მიიჩნიეს მისი შემთხვევა, ანუ–თითქოს პროტესტის ნიშნად, განგებ მოაყოლა ხელი... სინამდვილეში, მართლაც უბედური შემთხვევა იყო)... ისიც მახსოვს, უთქმელი იყო, არასოდეს არავის არაფერს უყვებოდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მხოლოდ ბოლო წლებში, უკვე თავისუფალ საქართველოში გვიამბო ბევრი რამ ჩვენც და სხვებსაც. იყო ისტორიის შესანიშნავი მასწავლებელი, წლების განმავლობაში შუა ქვალონის სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ბრძოლის და შრომის მედლების, ასევე ღირსების ორდენის მფლობელი, მიხარია, რომ ერთად ვართ, ერთად ვხვდებით ამ დიად დღეს. ვულოცავ, ჩემს ძვირფას ბიძას და ყველა მის თანამებრძოლს კიდევ ერთხელ.

P.S. ეს განსაკუთრებული წელია, 70–ათეული... თუნდაც თითო წინადადებით გავიხსენებ მათ, რომელთა გახსენება კიდევ შეგვიძლია. ჯერ კიდევ სტუდენტი, ხობის გაზეთთან ვთანამშრომლობდი და საგანგებო წერილები მქონდა შინმოუსვლელებზე. ნათელი ხსოვნა იყოს მათი და მოვიგონოთ ისინი: მირიან მინჯორაია (ლალი მინჯორაიას მამა), მხოლოდ სამი დღით ჩამოსულა ომიდან, ლალი ახალფეხადგმული უნახავს. ომის დამთავრებამდე 40 დღით ადრე დაიღუპა ბერლინში... 20 თებერვალს დაწერილი უკანასკნელი წერილი კი მიიღო ოჯახმა... დაღუპულის ჯიბიდან ამოღებული შვილის სურათებიც გამოუგზავნეს მერე ცოლ-შვილს, და დედას ეფროსინე მინჯორაიას, რომელსაც მაინც არ სჯეროდა შვილის სიკვდილი და ბოლომდე ელოდა... ომში წავიდნენ და უგზო უკვლოდ დაიკარგნენ ჩემი ოჯახის ახლობლები, ძმები–ბონდო და ბიძინა ცხადაიები, სტუდენტები, რჩეული ვაჟკაცები. ელოდნენ და იმედს არ კარგავდნენ დედ-მამა პეტრე და ჟენია ცხადაიები... უშვილძიროდ დაამთავრეს ცხოვრება ძმებმა... წავიდა და დაიკარგა (უგზო-უკვლოდ როგორც იუწყებოდნენ მაშინ) ამირან ღადუა, ალექსანდრეს და მამაჩემის მეგობარი, კარის მეზობელი... მთელი ცხოვრება დასტიროდა დედამისი მის სურათს... მახსოვს, გერონტი ლეფსაიაზე, წარმოსადეგ ახალგაზრდა კაცზე გავაკეთე ნარკვევი (იური ლეფსაიას მამა)... წავიდა და აღარ დაბრუნებულა... დაბრუნდა მამაჩემი, მაგრამ დაჭრილი, ავადმყოფი, დიდხანს ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ ამაოდ... დღეს მისი დღეცაა... ყველას დღეა–ხსოვნისთვის, მოგონებისთვის.

2015 წელი

ხობის სიყვარულით ჯულანთებული

კიდევ ერთი სახელოვანი სიცოცხლე გაეცალა ცოდვა-მადლით დამძიმებულ წუთისოფელს. მიტუშა გერგაია გარდაიცვალა, უკვე წლებით მხრებდამძიმებული, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოს, მშობლიური ხობის სიყვარულით გულანთებული და, რაც მთავარია, ყველა თაობისათვის ნაცნობი და ახლობელი, ახსოვთ ხობელებს. გამორჩეულად პეწიანი, განათლებული, კარგი მოუბარი, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, რაიონის მემატიანე, წიგნიერი კაცი... თამამად შეიძლება ითქვას, ის მუნიციპალიტეტის კუთხეკუნჭულს იცნობდა, ამის საბაბიც ჰქონდა და საშუალებაც. ის წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირველი პირის პირადი მძღოლი იყო. მას ჰქონდა ბედნიერება ემუშავა ბატონ ალიოშა წურწუმიას, ამირან როგავას, ნასკნელ გზაზე შინმოუსვლელის დედა ქალბატონი ლიზა ლატარია.

ბატონი მიტუშა მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა, ომის უბედურებამ ფეხდაფეხ გადაუარა მის ოჯახს. სამი ძმა ფრონტზე იბრძოდა, სამკუთხა ბარათების იმედით დარჩენილ მშობლებს ორი შვილი დაუბრუნდათ, ილიკო გერგაიამ ომის დამთავრებამდე ოცი დღით ადრე ავსტრიაში, ვენის ძმათა სასაფლაოზე დაიდო ბინა და მიტუშას თანმდევი ტკივილი გახდა. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მისი შეგნებული ცხოვრება ძმის საფლავის ძიებაში გაატარა, მანამ ვერ „მოისვენა“, ვიდრე საფლავს არ მიაგნო, წლების შემდეგ კი ქართული მიწა მოაყარა...

შემდეგ იყო ეულად ცხოვრების წლები... ილიკოს ხსოვნის უკვდავყოფა. მისი გარდაცვალების შემდეგ ახლობლებმა ილიკოს სურათის გვერდით მისი სამკუთხა ბარათი შენიშნეს „შენ ჩემზე ნუ დარდობ, დედი, პირიქით, უნდა იამაყო, შენი სამი შვილი ფრონტზე იბრძვის, სამშობლოს ღირსებას იცავს. სამივენი მკერდდამშვენებული დაგიბრუნდებით“ წერდა ილიკო. ასეთი სულისკვეთებით იყვნენ აღზრდილები, ამის ერთგული დარჩა ბოლომდე. მიტუშა გერგაიას უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. თითქოს მიწაზე ფეხის დადგმისაც მომერიდაო, ხელგაუწვდომელი ტოტებგაშლილი ნაძვები, ყვავილთა და პალმების ნაირსახეობა არაჩვეულებრივ გარემოს ქმნიდა, ორმაგად დასანანი იყო მიტუშას წასვლა ამ გარემოდან, მან ხომ ყველაფერი თავისი ძმის, მისი მშობლების ხსოვნას შესწირა.

ამქვეყნიური დიდება არასდროს აკლდა, მთავრობის ჯილდოები, მედლები, ორდენები და გამორჩეული წოდება „ხობის საპატიო მოქალაქე“. მისი სიამაყის მიზეზი გახლდათ.

მეგობრები, მეზობლები, ახლობლები სიყვარულით გამოეთხოვნენ, მიტინგიც მოუწყვეს. წარმოვიდგინე ის სიტყვები რომ მოესმინა, როგორი ამაყი და მადლობელი წავიდოდა, თუმც მისი ახლობლებისთვის მიტუშას ცხოვრების ყველა დღე საამაყო იყო... ალბათ, ამიტომაც გაუხანგრძლივეს და გაულამაზეს სიბერე, ამიტომაც გააცილეს დიდი სიყვარულით.

ნათელი დაადგეს მის საფლავს...

მერი ლაგვილავა
2013 წელი



18 მაისი-მუზეუმების საერთაშორისო დღე

სამუზეუმო ცხოვრება ძალზე საინტერესო და დიდად დასაფასებელი საქმეა, რამეთუ მუზეუმი არის სავანე, სადაც ჩვენამდე მოღწეული ისტორიული მასალები, ნივთები თუ სამეცნიერო ნამუშევრები ინახება.

ამ თვალსაზრისით თუ რამეს ვერ შევმატებთ სამშობლოს, ის მაინც უნდა შევუნარჩუნოთ შთამომავლობას, რაც ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვაბარეს, რამეთუ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პარალელურად სულიერებისა და განსაკუთრებით ზნეობის რეგრესის საუკუნეში გვიხდება ცხოვრება და ამიტომაც ჩვენი ვალია, გვახსოვდეს და ხელი შევუწყოთ კულტურის ესოდენ საჭირო დარგს, რომელსაც მუზეუმი ჰქვია.

ჩვენი მუზეუმი არის ახალგაზრდა, რომელიც დიდი რუდუნებით 2007 წელს დაარსდა და გაიხსნა დიდი ზარ-ზეიმით. მის დაარსებას ჩვენი თანამედროვენი ბატონი გოდერძი ბუკია, სულმნათები ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ როდონაია, გომარ სიხარულიძე ჩაუდგნენ სათავეში. ამ ადამიანების ძალისხმევამ ქართულ სიმღერას, ფოლკლორისტიკას, ხალხის მიერ შექმნილ სიმღერასა თუ გალობას „უგალობა“ შესანიშნავი მუზეუმით. ამასთან დიდი პატივია მუზეუმის სახელწოდება ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“, რომელიც ჟღერს, როგორც მეგრული-ხალხური სიმღერის პატრიარქის ძუკუ ლოლუას სახელით. ეს დიდი პატივია მუზეუმისთვის, რამეთუ 17 წელია დიდი მუზეუმების ფერხულს ერთი დიდი რგოლი შეემატა, რასაც ჰ ქვია სიმღერის მუზეუმი.

ქართველი ადამიანი ბუნებასთან შესისხლხორცებული ანიდან ჰოემდე, ლხინში თუ გასაჭირში პოულობდა ძალას, რათა სიმღერით მოეტანა ქართული სული, ხალხის მიერ შექმნილი. ამ დიდებულთა გვარ-სახელია თვით ქართველობა.

სრულიად საქართველომ მისი მთაბარით ადამიანებს შთაბერა სული, რათა შეექმნათ ქართული ჰანგები და ასევე შვა შესანიშნავი სიმღერა-გალობა, რომელიც დღესაც ჟღერს დიდებულად, მას ჟამთასვლა არ დასტყობი, რადგან დღესაც იგალობება სრულიად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებში.

არ შევუდგები სათითაოდ გვარ-სახელების ჩამოთვლას, რამეთუ შორს წაგვიყვანს წარსული, შორეული ხმით აგვამღერებს, რომელიც სამეგრელომ „ღურჭულით“ შვა და საამო სიმღერები გულს სალმუნად ედება, რამეთუ „ჩელას“ არსად ისე არ მღერიან, როგორც სამეგრელოში. ლექსი „ჩელა“ დაწერილია პავლე აკობიას მიერ. ამ ლექსმა სიმღერად ამოათქმევინა ძუკუ ლოლუას „აშო ჩელა, იშო ბუსკა, ოუ ნანა სქანი ცოდა ნანინა“.

ძუკუ ლოლუა, კაცი, რომელიც დაიბადა ღარიბი აზნაურის ოჯახში, ლოტბარი, რომელიც იღწვოდა ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებისთვის. ის განსაკუთრებით გლეხებისგან სწავლობდა სიმღერებს, ამუშავებდა და რუდუნებით ასწავლიდა საუკეთესო ვარიანტებს მის მიერ შექმნილი გუნდის მომღერლებს, ის მუდამ ცდილობდა ზუსტი ინტონაციის, ხასიათის დაცვით ესწავლებინა სიმღერა.

მისი ბიოგრაფია საინტერესოა ჩვენთვის, მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უერთგულა ქართულ, მეგრულ და აფხაზთა შესანიშნავ მელოდიებს. არაერთი ლოტბარ-მომღერალი აღზარდა: კიწი გეგეჭკორი, ლუდი ბაბილუა, ვანო კოზმავა (აფხაზი), მაქსიმე ანუა, ძღიკი ძიაფშიპა. მან ფეხით შემოიარა აფხაზეთის მთელი სოფლები, გაეცნო აფხაზთა ადათ-წესებს, დაუახლოვდა სიმღერის საუკეთესო შემსრულებლებს: აბას კოღონიას, გუჯუჯი მარღანიას, მალხაზ ეშბას, კონდრატე ძიძარიას და სხვებს.

ძუკუ ლოლუა საგუნდო რეპერტუარის შერჩევისას თანაბარ ადგილს უთმობდა ქართულ, მეგრულ, აფხაზურ ნომრებს. მოგეხსენებათ მეგრულ სიმღერას ლაიტმოტივად გასდევს წუხილი და სევდა, თუნდაც რად ღირს „სი ქოული ბატა“, რომელიც 1934 წელს იქნა ჩაწერილი ლოტბარ რემა შელეგიას მიერ. ამ სიმღერის შესახებ დიდი გენიალური მწერალი კონსტანტინე გამსახურდია იტყვის: „თქვენ წინ გადაიშლება სამეგრელოს ნისლოვანი მიდამოები, თალხი ცა და წითელი ფერების სინაკლულე, დაბალი ცის არშია და გაშლილი ჰორიზონტი...“

დიდი ამაგი მიუძღვის ძუკუ ლოლუას, როგორც ლოტბარ-მომღერალს აფხაზური ფოლკლორის განვითარებაში, მისი მოღვაწეობით თავისებური ელფერი შესძინა სიმღერას, რამეთუ იგი სიმღერით გადმოსცემდა ადამიანის მიერ შექმნილ საამო ჰანგს მისივე ხასიათში.

არიან ადამიანები, რომლთა დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე გარდაცვალების შემდეგაც არ ფერმკრთალდება, პირიქით, რაც მეტი დრო გადის, უფრო ვლინდება, მეტად ჩაგახედებს მის წარსულს და აწმყოსაც აზიარებს. ასეთი პიროვნებაა მეგრული ხალხური სიმღერის პატრიარქი ძუკუ ლოლუა, რომელიც დაიბადა სოფელ ქვალონში 1877 წლის 8 აპრილს, მან მისი მოღვაწეობით შთამომავლობას ანდერძად დაუტოვა სიმღერა ქართულ-მეგრულ-აფხაზური და ის ჯაჭვი უდაოდ გაუძლებს ჟამთასვლას, ჩვენ ისევ შეგვადუღაბებს „ვარადო“ გულიდან ამოსული და ბედნიერებაა გყავდეს მამულიშვილთა დიდი კოჰორტა, რომელთა ძალას ეხლაც კი ვგრძნობთ და ამაზე მეტი ვინ რა უნდა ქნას. ბატონი გოდერძი ბუკიასა და მათი მეგობრების ძლისხმევით ჩვენ გვაქვს ვეებერთელა საინფორმაციო ბანკი–ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელოს“ სახით.

დღეს რაიონის მომღერალთა უკვე „ბებერი მუხა“ ანსამბლი „კოლხეთი“, არის ცოცხალი გამგრძელებელი ფოლკლორული სიმღერისა, კერძოდ მეგრული სიმღერის სხვადასხვა ვარიანტისა. მისი ხელმძღვანელი გახლავთ ლოტბარი ნუგზარ ზარანდია და ვფიქრობ, მათ უფრო მეტი მოფერება და მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა უკეთ შემოგვინახონ ქართული სიმღერა.

საუკუნეების მანძილზე ისტორიული ფაქტებით დადგენილ ჭეშმარიტებას, პოლიტიკური კონიუქტურის გავლენით, სუბიექტიზმისაგან დაცვა ყოველი პატრიოტის ღირსებასა და სიამაყესთან ერთად ქვეყნისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობას აკისრებს იმით, რომ პირველ რიგში მომავალი თაობისადმი ზრუნვასა და გულშემატკივრობას შეეხება. რამეთუ ყოველ მომდევნო თაობას წინამორბედისგან მემკვიდრეობით გადაეცემა, როგორც მამულის, ქვეყნის, სამშობლოს აღორძინება თუ აღმშენებლობის საზრუნავი.

მე კი, როგორც ზემოთხსენებული მუზეუმის ყოფილი დირექტორი და ამჟამად კულტურის ცენტრის სპეციალისტი, მინდა ხობელ უფროს და უმცროს თაობას მოვუხმო მუზეუმისკენ, რათა უფრო ცხოვლად შეიგრძნონ ის მაჯისცემა, რაც დაგვიტოვა უფროსმა თაობამ მომავალთან დამაკავშირებელი ხიდის ასაშენებლად.

მუზეუმის მოყვარულებს ერის საგანძურის დამფასებლებს გილოცავთ მუზეუმების საერთაშორისო დღეს, რომელიც ტარდება ერთი კვირის განმავლობაში 18 ვარდობისთვიდან.

ნანა ჯალალონია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალაქ ხობში, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (სისხლის ბანკი) და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით სისხლის უანგარო დონორთა აქცია - „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ გაიმართა.

დონორთა აქციაში საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის კომპონენტებით ამარაგებს, როგორც ბავშვთა, ისე მრავალპროფილურ კლინიკებს.

ხობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში „დედამიწის დღისადმი“ მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ვიქტორინა „ეკომეგობარი” გაიმართა. ვიქტორინაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკების მკითხველთა გუნდები მონაწილეობდნენ.

გამარჯვებულთა ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი–ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდი „ლაბარუმი“;

მეორე ადგილი–ქვემო ქვალონის გუნდი „ეკოქვანი“;

მესამე ადგილი–ქარიატის გუნდი „ეკო ქარიენტი“.

პირველ, მეორე და მესამე ადგილოსან გუნდებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

სულთათვის

გრიგოლ (გიგლა) იობაძე

გიგლა იობაძე გარდაიცვალა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამორჩეული მოქალაქე, ბრწყინვალე ადამიანი და რაც მთავარია–დიდი მასწავლებელი და დირექტორი. სამართლიანად იტკივილა ერთმა ჩვენმა თანასოფლელმა, „გიგლას მერე ჩვენი სკოლის არსებობა ვერ წარმომიდგენიაო“. ამის გაგონება ნამდვილად არ გაახარებდა მის წმინდა სულს, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მშობლიური სკოლის მომავალზე ფიქრობდა, მისი აწმყო და ხვალინდელი დღე ადარდებდა, ყოველ მოსწავლეს საკუთარ შვილად აღიქვამდა და მშობლიური სიყვარულით ეთბილებოდა. ეს უშურველი სიყვარული ერთიანად უკანვე უბრუნდებოდა და ამით ბედნიერობდა. არჩევნების მსვლელობა აინტერესებდა, საავადმყოფოდან რამოდენიმეჯერ დამიკავშირდა და სიტუაციის ახსნა მთხოვა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რომ არ იყო, ისიც აწუხებდა. აბა თქვენ იცით, სირცხვილი არ ვჭამოთო.

ჩვენს დიდ გუნდს ჯონი არზიანის უცაბედი გარდაცვალება დიდად დაეტყო.

ბატონი გიგლას წასვლამ ხერხემალში გადაგვტეხაო თითქოს... მიდიან უღირსეულესი ადამიანები და ტოვებენ ამოუვსებ სიცარიელეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე გურიფულიდან მესამე ფიზიკოსმა დატოვა წუთისოფელი. ჯერ ჩვენი ასევე დიდი მასწავლებელი, ბრწყინვალე ადამიანი ბატონი ჟორჟი ხასია გადავანდა დიდ სოფელში, მერე სახელოვანი ფიზიკოსი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი ხუნტული აბურჯანია, ახლა კიდევ ჩვენი გიგლა, ჩვენი სოფლის მარგალიტი. დიახ, ის ნამდვილად თვითნაბადი მარგალიტი გახლდათ. ოკეანის ფსკერზე მილიონობით ნიჟარიდან რამოდენიმე ასეულში შეიპარება ქვიშის უბრალო მარცვალი, შემდგომ ეს ნიჟარები დაიხურება და ათეულობით წლების მერე მარგალიტად იქცევა. ასეთი გამორჩეული მარგალიტი გახლდათ მრავალთა შორის ეს საოცარი ადამიანი. მისი კეთილგონიერება, ინტელექტი და უბრალოება იმდენად კაშკაშებდა, სულ მისკენ გიზიდავდა, მასთან მეგობრობის სურვილს გიჩენდა.

საერთოდ, ყოველ ადამიანში არსებობს ჩანასახოვანი ჭეშმარიტება– ლოგოსი, ეს ჭეშმარიტება მისი უზადო კაცთმოყვარეობა და ღვთივბოძებული სიყვარულის უნარი გახლდათ. ის ყველას უყვარდა, რადგან მას უყვარდა ყველა და თავისი უშუალობით, სიალალითა და განუმეორებელი იუმორის ნიჭით დიდ ადგილს იკავებდა მათ გულში.

თავისი გულისმიერი სიყვარულის ბოლომდე ერთგული დარჩა, ნანი სალაყაიას სიყვარულით დაიწყო მისი ღვთაებრივი აღვსილობა და ამითვე დამთავრდა. „ჩემთვის მზე ჩამობნელდაო“ ნანის მოულოდნელმა სიკვდილმა ათქმევინა. უსაყვარლესი ადამიანების, მასთან დისა და ვაუკაცი დისშვილის გარდაცვალებამ კინაღამ გადაიყოლა, მაგრამ დასძლია, მოერია კაეშანს და გააგრძელა ცხოვრება. სკოლამ და სამეგობრომ უშველა. განსაკუთრებით კი სკოლამ, რომელსაც ხუმრობით „მეუღლეს“ უწოდებდა. სკოლა შევირთე, ჩემო ბატონო და ყველა ბავშვი ჩემი ღვიძლი შვილიაო–მისეული ღიმილით იტყოდა ხოლმე.

პაგანინი მთელი ცხოვრება გვარნერის მიერ დამზადებულ ვიოლინოზე უკრავდა. როდესაც იგი გარდაიცვალა, ვიოლინოს „პაგანინის ქვრივი“ შეარქვეს. ეს ასოციაცია გამიჩნდა ამ წამს და ჩვენი სკოლა „გიგლას ქვრივად“ წარმომიდგა. მართლაც რა ეშველება? თუმცა, ყველაფერს ეშველება, ყველაფერი კარგად იქნება, ესაა გიგლა არ გვეყოლება, ჩვენი უსაყვარლესი გიგლა ბატონი.

ვწერ ამ წერილს და მეხსიერების ეკრანზე ლანდივით გადარბის ურიცხვი ფაქტი, გადავიწყებული და ფერშეცვლილი სურათები, განცდილი და განაგონი. გული მტკივა, მეტად საიმედო ადამიანი დავკარგეთ. დავტირით ჩვენს გიგლას, განსაკუთრებით დედაჩემი, მისი თანასოფლელი გიგლას სიყმაწვილის მცოდნე, მისი ნაადრევი წასვლით გულატკივილებული. ნათქვამია: ადამიანი იბადება–იბადება მთელი სამყარო, ადამიანი კვდება კვდება სამყარო, რომელსაც მისით აღვიქვამდით, მისით ვაფასებდით და მისით გველამაზებოდა.

დიახ, წავიდა, დასრულდა დიდი სამყარო, რომელსაც ჰქვია გიგლა იობაძე, გიგლა მასწავლებელი, გიგლა დირექტორი, გიგლა მეზობელი, მეგობარი, ნათესავი, მოკეთე და უბრალოდ გ-ი-გ-ლ-ა!

ნათელი დაგადგეს ძვირფასო ადამიანო! პატივისცემით

ნანა გვასალია.

კარლო ბერაია

უახლოეს წლებში ვინ იცის რამდენმა მშვენიერმა ადამიანმა დატოვა წუთისოფელი თავისი მარადიული „ავტოგრაფით“. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ უაღრესად განათლებული, ცნობილი ბუღალტერი, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, მაღალკვალიფიციური მუშაკი, რომლის თეორიული ცოდნა ღრმა პრაქტიკულ გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული.

ბატონი კარლო ბერაია...

ბრძენს უთქვამს: „ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა და იგი ისე უნდა გაატარო, „სიკვდილის წინ. უკან გავლილი გზისკენ მიხედვისა არ შეგრცხვესო“ ბატონმა კარლომ შვიდ ათეულ წელზე მეტი იცხოვრა და სიცოცხლის დაისზე უკან რომ მოეხედა ალბათ, უკმაყოფილო არ იქნებოდა, რადგან იგი თავისი ცხოვრების წესით სიკეთის, სიყვარულისა და სათნოების განსახიერება იყო.

ბატონი კარლო გამოირჩეოდა საქმის უანგარო სიყვარულით, მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. უყვარდათ კოლექტივში, სადაც მუშაობდა ეამაყებოდათ მეგობრებს. ჭკუის საკითხავ კაცს ეძახდნენ ცხონებულს და ასედაც იყო. რაიონის ერთ-ერთი კარგი სპეციალისტი, ერუდირებული, დაფასებული პიროვნება გახლდათ. ამიტომაც ენდობოდნენ.

ადამიანის ცხოვრება მის მონაგარში გრძელდებაო–იტყვიან ხოლმე. მართლაც ასე ყოფილა. მისი მეუღლე ქალბატონი გულნარა, ტრადიციული ოჯახის „გემრიელი“ მასპინძელია, დახუნძლულია შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით... შვილები მალხაზი და მურთაზ ბერაიები ალამაზებენ ჭეშმარიტი მამულიშვილის ზედმიწევნით პატიოსანი და საოცრად კეთილი კაცის ცხოვრების გზას, მართალია დღეს არ არის ბატონი კარლო, მაგრამ მისი გავლილი გზა საუკეთესო მაგალითად გამოადგება მის შთამომავლობას, ჯიშსა და ჯილაგს.

მეც თავს ვხრი ბერაიების სახელით მისი ხსოვნის წინაშე, მოწიწებით და კრძალვით ვესათუთები, რომელმაც სახელოვნად იცხოვრა და დატოვა ნათელი კვალი.

გადიან წლები... იები და ყოჩივარდები ყვავიან მის საფლავზე.

ნათელი დაადგეს.....

ნაირა ბერაია

ლუდმილა (ჩიტო) გიგიბერია-კობახიძე

მეხის გავარდნას გავდა შენი სიკვდილი, როგორ გვეგონა ასე ადრე დატოვებდი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. ჩვენო მომღიმარო, იუმორით სავსე, კეთილო და ტკბილო მეგობარო.

ერთადერთი ძმისა და დის გარდაცვალების გამო, გულით უსაზღვრო დარდსა და სევდას დაატარებდი, გტანჯავდა მათი ამქვეყნად არყოფნა, მაგრამ ყველანაირად ცდილობდი. შენი განწყობით გარშემო მყოფნი არ შეგეწუხებინა, ყოჩაღად იყავი, ტკივილებს არ იმჩნევდი, სადაც კი შენ იყავი, ყველგან სიცოცხლე ჩქეფდა, სიცილ-კისკისი ისმოდა. მოდიდოდი და მოგქონდა უსაზღვრო დადებითი მუხტი, როგორ შეაყვარე ყველას თავი შინ და გარეთ, სამსახურში, სანათესაოში, სამეზობლოში.

შენი ცხოვრების მანძილზე, იმდენი სითბო, სიკეთე და სიყვარული დათესე, რომ შენი ახლობლები ვამაყობდით და ვიამაყებთ შენით. შენზე მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო მოგონებები დაგვრჩა.

ლუდმილა, ძალიან გვაწუხებს და გვტკივა უშენობა. ჩვენს გულებში ყოველთვის იქნები დიდი მონატრებით.

მაღლენა პაპავა.

დალი დათუაშვილი

სიკვდილმა კიდევ ერთხელ სძლია ლამაზ სიცოცხლეს და შენი თავი ნაადრევად წაგვართვა ჩვენო ულამაზესო შვილო და დაგვიტოვა დიდი მწუხარება, ვარამი, სევდა, ტკივილი და მოურჩენელი იარა. „ნეტავ ჩვენს ჭირს სრულყოფილად თუ იტყვის ენა“ ჩემო თვალებბრიალა გოგო, როგორ აგვატირე, რა ავად დაგვაბედე ყველას შობაახალი წელი, ვინ იფიქრებდა სიცოცხლით სავსე ასე უცებ, მოულოდნელად გამოგვეცლებოდი ხელიდან. ააცრემლე ხორგა, ქვალონი, ხეთა, შენი მოხუცი მამა, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს უშენობა. და-ძმა, ოჯახი, მეუღლე, ერთადერთი შვილი, რძალი.

ამბობენ სიკვდილსაც კარგები უყვარსო. შენ სითბო და სიკეთე დათესე ირგვლივ, რასაც ალბათ ზოგიერთი მთელი საუკუნის სიცოცხლის მანძილზე ვერ მოახერხებდა. დაუღალავი, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე, ყველას ჭირსა და ლხინს იზიარებდი, კარგი მეუღლე, დედა და საუკეთესო მასპინძელი, მაგრამ დღეს კი... შენი ლამაზი ღიმილი და გულის სითბო მზის სხივივით დაგვაკლდა ყველას.

თამამად შეუძლია შენს ოჯახს იამაყოს შენით ჩემო კეთილო შვილო. რაც შენ წახვედი წუთისოფლიდან მზიანი დარიც ჩვენთვის არ დარობს, ჩვენი მოურჩენელი და დიდი ტკივილი ხარ.

ვის მოვახვიო ჩემი დარდები, ხელები მიკანკალებს, მიჭირს წერა. სული და გული მეწვის, ვერ ვიჯერებ, რომ არ ხარ და არც არასოდეს დავიჯერებ ასე წავალ ამქვეყნიდან. თვალწინ მიდგას შენი ბავშვობა და ცრემლები ღაპა-ღუპით მომდის.

იმიერში შენს მონატრებულ დედიკოს ჩაეხუტე, მოუყევი ახალი ამბები, ვიცი, მას არ გაუხარდება შენი მისვლა, მაგრამ ბედისწერას ვერ შეცვლი. პატარა დამხვდი, ჩემი გაზრდილი ხარ შვილო, დიდო ტკივილო, ჩემი სული და გული გაიყოლე.

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი „წინდათა თანა, სადა იგი არ არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულითქმა არამედ სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი.“ ვილოცებ შენთვის, რამეთუ გრძნობს უბიწოს დრო ვერას უზამს, ვილოცებთ მანამ სანამ ჩვენი დადგება ჟამი, ვიდრე უფალს მივეახლებით და მაშინ კი ვიაროთ ერთად.

შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

ლეილა (ნაირა) კიკალეიშვილი.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გამოაკლდა ინტელიგენციის საამაყო წარმომადგენელი, მოყვასთა დამხმარე, გულკეთილი, განათლებული, ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება, უღალატო მეგობარი, სამი შვილის სანიმუშო მამა

გოჩა სიჭინავა

და მწუხარებაში თანავუგრძნობთ მის მეუღლეს–ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ავტორს და გულშემატკივარს, ჟურნალისტ ლელა ალანიას და სულის სიმხნევეს ვუსურვებთ მას და მის ოჯახს.

კლიმატის ცვლილება და გენდერი

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების სიცოცხლეს და ამძაფრებს მოსახლეობას შორის არსებულ უთანასწორობას.

კლიმატის ცვლილება მსოფლიო გამოწვევაა, რომელიც სხვადასხვა სახით, ნეგატიურად აისახება სხვადასხვა სფეროებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჰაერის დაბინძურება ყველა რასის, ასაკის და სქესის ადამიანს უქმნის ჯანმრთელობის პრობლემას. კლიმატის ცვლილებების კონტექსში ხშირად საუბრობენ გენდერზე, ვინაიდან უკვე დადასტურებულია, რომ ის გენდერულად ნეიტრალური არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაბინძურების შედეგები სხვადასხაგვარ ასახვას ჰპოვებს ქალებზე და კაცებზე, ეს განპირობებულია ფიზიოლოგიური განსხვავებით და სოციალური მიზნებით, ასევე მათი განსხვავებული როლების შესრულებით როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე, ასევე საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. ხშირად სწორედ ქალები არიან პასუხისმგებელი საკვების, წყლის, საწვავი წყაროების შეგროვებასა და წარმოებაზე, სოფლის მეურნეობაში, ისინი ასევე ფერმერული საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილსაც ასრულებენ, მათ შორის კულტივაციას, საქონლის მოვლას და სასოფლო-სამეურნეო და რძის პროდუქტების დამუშავებას. რადგან ტრადიციული ნორმებით, ქალი ოჯახზე უფრო მეტად არის მიბმული, ვიდრე მამაკაცი. ეს განსხვავება ქალს გარემოს დაბინძურების მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის. გაეროს მონაცემების მიხედვით, ქალები და ბავშვები განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. კლიმატის ცვლილება არსებულ გენდერულ როლებთან და სტერეოტიპებთან ერთად, ართულებს ამ ამოცანებს, რაც იწვევს ქალების დატვირთვის ზრდას, გენდერულ დისკრიმინაციას და სიღარიბის ფემინიზაციას.

გარდა ამ ცვლილებებისა, გარემოსდაცვითი სამართლიანობა და გენდერული თანასწორობა გაშუალებულია სოციალური ფაქტორებითა და გენდერული როლებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ქალების საშინაო აუნაზღაურებელი შრომა. ღარიბ და განვითარებად ქვეყნებში, სადაც კაცებისაგან განსხვავებით ქალებს ხშირად არ აქვთ სამსახური, საკუთრება, წვდომა რესურსებზე და განათლებაზე, შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოში ისევე, როგორც ორჰუსის კონვენციის ხელმომწერ სხვა ქვეყანაშია, მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების დროს კანონმდებლობითაა უზრუნველყოფილი. საქართველოს გარემოსდაცვითი კოდექსით საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპებზე. საზოგადოების ჩართულობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს იძლევა, შესაძლო ნეგატიური გარემოსდაცვითი ზემოქმედების თავიდან არიდების და რისკების სწორად შეფასების შესაძლებლობას.

მსოფლიო მასშტაბით, სწორედ ქალები არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა უმრავლესობაში და ისინი საარსებო წყაროს მოსაპოვებლად უფრო მეტად არიან დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე. ქალთა დაბალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების დონეზე ამძაფრებს უთანასწორობას, რაც ხელს უშლის ქალებს სრულყოფილად მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის დაგეგმვაში,შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის კლიმატის ღღის წესრიგთან დაკავშირებულ პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ქალები არაპროპორციულად განიცდიან კლიმატის ცვლილებას, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილების ადაპტაციასა და შერბილებაში.

არსებული რეალობის შეცვლა, საკმაოდ რთული საკითხია. ვინაიდან, როდესაც ვსაუბრობთ კლიმატის ცვლილებაზე, მის მნიშვნელობას ვიწრო, ლოკალურ კონტექსტში ვერ განვიხილავთ რადგან საკითხი გლობალურია... მაგრამ მძიმე რეალობის შემსუბუქება თითოეული სახელმწიფოს და მოქალაქის ხელშია, მდგრადი გადაწყვეტილებების მიღებით.

15 მაისს მსოფლიო აღნიშნავს კლიმატის საერთაშორისო დღეს. ამ დღის აღნიშვნით მსოფლიო საზოგადოებას სურს მოსახლეობას შეახსენოს თუ რა პრობლემების წინაშე შეიძლება დავდგეთ უახლოეს მომავალში ბუნების გაუფრთხილებლობის გამო.

ნინო ურიდია,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საქმის წარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

აიცერი და დაიცავი

ევროპის იმუნიზაციის კვირეული ტრადიციულად აპრილის თვის ბოლო კვირას მთელ ევროპაში, მათ შორის საქართველოშიც ტარდება.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის რგოლი უერთდება ამ მოწოდებას და განხორციელებული იქნება შესაბამისი აქტივობები, რომლის მიზანია კიდევ ერთხელ შევახსენოთ და ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება იმუნიზაციის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

რა არის იმუნიზაცია?

იმუნიზაცია ჯანმრთელობისა და სოცოცხლისთვის საშიში ინფექრიური დაავადებებისგან დაცვის მარტივი, უსაფრთხო და ეფექტური გზაა. ესაა პროცესი, რომელიც გულისხმობს ადამიანისთვის კონკრეტული ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინაციის (აცრების) ჩატარებით იმუნიტეტის (დაცვის) გამომუშავებას, სხვადასხვა ინფექციის მიმართ იმუნიტეტის გამომუშავების მიზნით.

რა არის იმუნიტეტი?

ადამიანის იმუნური სისტემა, ორგანიზმს იცავს ნებისმიერი, გენეტიკურად უცხო აგენტისგან, იქნება ეს ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები თუ ორგანიზმში გარედან მოხვედრილი სხვა ნებისმიერი მიკროორგანიზმი.

ძირითადად განასხავებენ 2 ტიპის იმუნიტეტს: თანდაყოლილსა და შეძენილს. ბავშვი იბადება თანდაყოლილი იმუნიტეტით, რომელსაც ის მშობლებისგან მემკვიდრეობით იღებს და იცავს მას რიგი ინფექციური დაავადებებისგან.

ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა ინფექციური დაავადების გადატანის ან ვაქცინაციის შემდგომ გამომუშავდება შეძენილი იმუნიტეტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იცავს მას განმეორებითი დაინფიცირებისა და მძიმე დაავადებისგან.

რომელი დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციები ტარდება საქართველოში?

–იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით, საქართველოში 13 ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება, რითაც ბავშვები დაცული არიან ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი 13 ინფექციისაგან, მათ შორის ტუბერკულოზის, B-ჰეპატიტის, პაპილომა ვირუსის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ჰემოფილაუს ინფლუნცა ტიპი B, წითელას, წითურას, ყბა-ყურას, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციებისგან.

იმუნიზაციის პროცესი იწყება ბავშვის დაბადებიდან და უმეტესი ნაწილი სრულწლოვანებამდე კეთდება.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები. პროგრამით გათვალისწინებული ყველა რუტინული ვაქცინა, სპეციფიკური ვაქცინები და იმუნობიოლოგიური პრეპარატები, ასევე ვაქცინაციის დროს ექიმის მომსახურება დაფინანსებულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და რაიმე დამატებითი საფასურის გადახდას არ საჭიროებს.

რა ხდება თუ არ ავცრით ბავშვს?

–თუ ბავშვი არ არის აცრილი, მეტია შანსი თავადაც დაავადდეს და სხვებიც დააყენოს რისკის ქვეშ.

რაც უფრო მეტია აუცრელი ადამიანების რაოდენობა, მით უფრო დიდია შანსი გამწვავდეს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. ვაქცინაციით ვიცით დავიცავათ საკუთარ შვილს და იმ ბავშვებსაც, რომლებსაც თქვენი შვილი ეთამაშება ეზოში ან ემეგობრება სკოლაში. ვაქცინაციით ბავშვებს სრულფასოვანი და შეუფერხებელი განვითარების, ჯანმრთელი მომავლის წინაპირობას უქმნით.

როგორ უნდა დავგეგმოთ ბავშვის აცრა?

იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით, გათვალისწინებული აცრების ჩატარების დაგეგმვაში. ბავშვის პედიატრი დაგეხმარებათ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე მიზეზის გამო ბავშვის დროულად აცრა ვერ მოხერხდა, პედიატრი გირჩევთ, როგორ ჩავუტაროთ ბავშვს გამოტოვებული აცრები.

უსაფროთხოა ვაქცინები ჩვენი შვილებისთვის?

დიახ, ვაქცინები უსაფრთხოა. ყველა დამტკიცებული ვაქცინა კვლევის რამდენიმე ფაზას და უსაფრთხოების, ხარისხის და ეფექტიანობის მკაცრ შემოწმებას გადის. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი ფართოდ გამოყენება. დანერგვის შემდეგაც კი რეგულარულად მიმდინარეობს ვაქცინების შეფასება და გაუმჯობესება.

რატომ იწყება ვაქცინაცია ადრეული ასაკიდან?

ჩვილები და ბავშვები ხშირად დაავადების ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან, რადგან მათი იმუნური სისტემა ჯერ სრულად ჩამოყალიბებული არ არის და მათ ორგანიზმს ნაკლებად შეუძლია ინფექციასთან ბრძოლა, ამიტომაც ბავშვების ვაქცინაცია ჩვილობიდანვე იწყება, სანამ სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებებთან ექნებათ შეხება.

აქვს თუა არა ვაქცინებს გვერდითი მოვლენები?

ვაქცინამ, ისევე როგორც ნებისმიერმა მედიკამენტმა, შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი გვერდითი მოვლენები. მათი უმეტესობა ძალიან უმნიშვნელოა. ასეთია, მაგალითად ცხელება, ტკივილი, შეშუპება ან სიწითლე ინექციის ადგილზე, ეს გვერდითი მოვლენები რამდენიმე დღეში ჩარევის გარეშე ქრება.

მეცნიერული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ რამდენიმე ვაქცინის ერთდროულად გაკეთება არ იწვევს რაიმე უარყოფით შედეგს. კომბინირებული ანუ მრავალკომპონენტიანი ვაქცინის გაკეთება ნიშნავს ნაკლებ ჩხვლეტას და ამცირებს დისკომფორტს. ეს ასევე ნიშნავს, რომ ბავშვი დროულად იღებს საჭირო ვაქცინას, რათა თავიდან აიცილოს საშიში დაავადების რისკი.

რატომ არის საჭირო ვაქცინის რამდენიმე დოზა?

–მყარი იმუნიტეტისთვის ზოგიერთი დაავადების პრევენციისთვის აუცილებელია ვაქცინის რამდენიმე დოზის მიღება. პირველივე დოზაზე ვერ ხერხდება საჭირო იმუნიტეტის გამომუშავება და ამიტომ შემდეგი დოზების გაკეთებაცაა საჭირო, მაგალითად წითელა, წითურას და ყბა-ყურას ვაქცინაცია, ასევე დიფტერია ტეტანუსის, ყივანახველას და სხვა მრავალკომპონენტიანი ვაქცინებით ვაქცინაციის დროს, რაც ზუსტად არის ასახული აცრების ეროვნულ კალენდარში.

შეიძლება ავადმყოფი ბავშვის აცრა?

–თუ ბავშვი ავადაა და უწევს აცრა, მშობელმა უნდა გაიაროს კონსულტაცია მის ექიმთან. მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი გაციება, ყურის ტკივილი, დაბალი სიცხე თუ დიარეა არ ითვლება ვაქცინაციის გადადების მიზეზად, კონკრეტულ შემთხვევაზე რჩევას თქვენი პედიატრი მოგცემთ.

საჭიროა თუ არა ბავშვის აცრა, თუ ის დედის რძით იკვებება?

–დიახ დედის რძეზე მყოფი ბავშვები საჭიროებენ დაცვას. დედის რძე მნიშვნელოვანია ბავშვის იმუნიტეტის ჩამყალიბებისას, თუმცა იგი ბავშვებს ყველა დაავადებისგან არ იცავს. ამ ბავშვებისთვისაც ვაქცინაცია საშიში დაავადებისგან დასაცავად ეფექტური საშუალებაა. ბავშს ხანგრძლივმოქმედი დაცვა სჭირდება, რაც მხოლოდ რეკომენდირებული ვაქცინაციითა შესაძლებელი.

კვირეულის ძირითადი გზავნილებია:

იმუნიზაცია სიცოცხლისა და ჯანმრთეობისთვის სახიფათო დაავადებებისგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

დრო მნიშვნელოვანია. რუტინული იმუნიზაციის კალენდარი ისეა შედგენილი რომ ბავშვი მისთვის გარდამტეხ მომენტში იყოს დაცული. მიჰყევით იმუნიზაციის კალენდარს, დაიცავით რეკომენდირებული ვადები და აღადგინეთ გამოტოვებული დოზები.

ყველა დოზა მნიშვნელოვანია თქვენი შვილების სიცოცხლისთვის სახიფათო ინფექციებისგან დასაცავად ბავშვებს ჩაუტარეთ რუტინული იმუნიზაციის კალენდრით გათვალისწინებული ყველა აცრა.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის ა(აიპ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.